მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის სავალდებულო დოკუმენტები და მათი ატვირთვის წესი:

კანდიდატმა ყველა დოკუმენტი უნდა წარმოადგინოს **ინგლისურ ენაზე;** თუკი საბუთი გაცემულია **მხოლოდ ქართულ ენაზე,** საჭიროა მისი თარგმნა და ნოტარიულად დამოწმება.

გაითვალისწინეთ, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ყოველი დოკუმენტის წარმოდგენა სავალდებულოა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი სააპლიკაციო ფორმაში მონიშნული შესაბამისი ნიშნით;

ყველა დოკუმენტი უნდა მომზადდეს **PDF ფორმატში** (თითოეული დოკუმენტის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 10MB-ს).

დოკუმენტების დასათაურება უნდა მოხდეს ქვემოთ მითითებული ინგლისურენოვანი დასახელებების შესაბამისად (მაგ.: name_surname_Transcript_of_Records).

<u>სავალდებულო საბუთების ჩამონათვალი:</u>

- პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი/Passport copy or ID Card
- აქტიური სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა/Proof of Enrollment
- რეზიუმე Europass-ის ფორმატში/EUROPASS CV - აღნიშნულ ფორმატში რეზიუმეს შექმნა შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში, ბმულზე: https://europass.cedefop.europa.eu/editors/en/cv/compose/
- შესაბამისი უცხო ენის მინ. B2 დონის კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა/Language Certificate (დეტალური ინფორმაცია იხილეთ: ბმულზე)
- შევსებული სასწავლო ხელშეკრულება/Learning Agreement
    - სასწავლო ხელშეკრულების ფორმა იხილეთ: ჩამოტვირთვა
    - სასწავლო ხელშეკრულების მომზადების ინსტრუქცია იხილეთ: http://iliauni.edu.ge/uploads/other/50/50236.pdf
- სამოტივაციო წერილი/Motivation Letter (ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე)
- პორტფოლიო (ნამუშევრები, საშემსრულებლო პრაქტიკა, პროექტები და ა.შ.)/Digital portfolio
- მხოლოდ დამამთავრებელი მაგისტრანტებისათვის - მშობლიური და მასპინძელი უნივერსიტეტებიდან სამეცნიერო ხელმძღვანელების მიერ ხელმოწერილი კვლევის გეგმა/Bachelor Thesis Proposal
    - კვლევის გეგმის ფორმა იხილეთ: ჩამოტვირთვა

- ასეთის არსებობის შემთხვევაში, ეკონომიკური, სოციალური ან ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი ცნობა/Proof of disability, social or economic vulnerability (if relevant)